ეროვნული ბიბლიოთეკა

# გილოცავთ 1 მაისს—მშრომელთა სოლიდარობის საერთაშორისო დღეს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი

# Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 30 აპრილი, 1988 წელი ● № 18 (3046) ● СУББОТА. 30 АПРЕЛЯ 1988 г.

КОММУНИСТЫ! РЕШИТЕЛЬНО ПОВЫШАЙТЕ БОЕВИТОСТЬ ПАРТИЙНЫХ ОРГАНИЗАЦИЙ! ЛИЧНЫМ ПРИМЕРОМ, УПОРНОЙ РАБОТОЙ НА БЛАГО НАРОДА УКРЕПЛЯЙТЕ АВТОРИТЕТ ПАРТИИ! БОРИТЕСЬ ЗА УТВЕРЖДЕНИЕ РЕВОЛЮЦИОННЫХ ПРИНЦИПОВ ПЕРЕСТРОЙКИ!

(ИЗ ПРИЗЫВОВ ЦК КПСС).

# 1 МАЯ

## В КОЛЛЕГИИ МВД ГССР

21 апреля состоялось очередное заседание коллегии МВД ГССР.

На коллегии с докладом, посвященным состоянию работы по обеспечению пожарной безопасности, предупреждению пожаров и борьбе с ними на объектах народного хозяйства со значительной концентрацией товарно - материальных ценностей и выполнению постановления Совета Министров ГССР от 30 сентября 1987 г., выступил начальник УПО МВД ГССР полковник в/с Сурмава.

Члены коллегии заслушали также доклад начальника УИТУ МВД ГССР полковника Г. Ходжава «О задачах по повышению организации и эффективности производственной деятельности промышленных предприятий УИТУ МВД ГССР в новых условиях хозяйствования».

По результатам обсуждения докладов приняты соответствующие постановления. Итоги работы коллегии подвел министр внутренних дел ГССР генерал-майор внутренней службы Ш. Горгодзе.



1975 წელს მოვიდა შინაგან საქმეთა ორგანოებში ჩოხატაურის შს რაიონული განყოფილების ავტოინსპექტორი, რიგითი მილიციელი თ. კალანდაძე. კეთილსინდისიერი მუშაობისთვის მიღებული აქვს მრავალი მადლობა და წახალისება, დაჯილდოებული არის სამკერდე ნიშნით „10 წლის უმწიკვლო სამსახურისათვის“, ავტოტექნიკუმის III კურსზე სწავლობს და მიღებული ცოდნა პროფესიული ოსტატობის დონის ამაღლებაში დაეხმარება.

სურათზე: თ. კალანდაძე.

გ. მგალობლიშვილის ფოტო.

## Координационный совет действует

Около года действует в Автозаводском районе города Кутаиси Координационный совет правоохранительных органов. Создание Совета обусловлено объективной необходимостью повышения эффективности взаимодействия государственных органов, их совместной целенаправленной деятельности по борьбе с преступностью и правонарушениями, их профилактике и предупреждению.

В 1987 году Совет изучил девять актуальных вопросов борьбы с преступностью и правонарушениями, в том числе, вопросы борьбы с мелкими хищениями госимущества, извлечением нетрудовых доходов, пьянством и алкоголизмом, преступностью несовершеннолетних и другие.

Недавно состоялось очередное, первое в текущем году заседание Координационного совета. Оно было посвящено подведению итогов прошлогодней работы. На заседании присутствовали первый секретарь Автозаводского РК КП Грузии С. Куртанидзе, члены бюро райкома, а также прокурор города Дж. Бабилашвили.

Перед Координационным советом отчитались: председатель Совета, прокурор Автозаводского района Т. Бобохидзе; председатель районного суда А. Шенгелия; начальник РОВД, капитан милиции А. Тевдорадзе и другие руководящие работники правоохранительных органов района. Итоги подвел первый секретарь Автозаводского райкома партии С. Куртанидзе.

В принятом на текущий год плане работы Координационного совета значительное место уделено мероприятиям по устранению имеющихся недостатков с учетом высказанных предложений и замечаний, выработаны конкретные рекомендации, в которых, в соответствии с программной установкой партии, центр тяжести перенесен на профилактику и предупреждение правонарушений, усиление охраны прав и законных интересов граждан.

**Д. ЦААВА,**
**лейтенант милиции, инструктор пресс-группы политчасти УВД г. Кутаиси.**

თათბირი საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტში

## უპირველეს ყოვლისა პროფილაქტიკა

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტში მოეწყო თათბირი, რომელმაც შეაჯამა რესპუბლიკის დედაქალაქში წლევანდელ პირველ კვარტალში სამართალდარღვევებისა და დანაშაულობასთან ბრძოლის შედეგები.

მოხსენებით გამოვიდნენ: თბილისის პროკურორი თ. ტუღუში, საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი რ. გვენცაძე, საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე დ. კალმახელიძე.

თავიდანვე მკაფიოდ გამოიკვეთა თათბირის არა მარტო რეგლამენტი, არამედ სტილიც, თათბირის ყველა მონაწილე გამოსვლას იწყებდა უწინარეს ყოვლისა ნაკლოვანებების, გაცდენების განხილვით, რომლებიც ხელს უშლიან დანაშაულობასთან ბრძოლისა და მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის სწორად წარმართვას.

იმის მიუხედავად, რომ პირველი კვარტლის შედეგებით დანაშაულობათა საერთო რიცხვი საგრძნობლად შემცირდა, მთელ რიგ რაიონებში ეს მაჩვენებელი კვლავ მაღალია, რაც ადმინისტრაციული ორგანოების ცალკეული თანამშრომლების არასაკმარის პროფესიონალიზმზე, ნაკლებ აქტიურობასა და ინიციატივობაზე მეტყველებს.

გარდაქმნის პროცესი, რომელმაც დღეს მოიცვა ჩვენი საზოგადოების სახელმწიფო, ეკონომიკური და სოციალისტური ცხოვრების ყველა სფერო, განუყოფელია სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისაგან, პიროვნების უფლებათა დაცვის გაძლიერებისაგან, ადამიანებში კანონის პატივისცემის აღზრდისაგან, შრომისა და ყოფაცხოვრების ჯანსაღი მიკროკლიმატის, ნორმალური პირობების შექმნისაგან. ამასთან, როგორც თათბირზე აღინიშნა, ოპერატიული მდგომარეობა ჯერაც აშფოთებს საზოგადოებრიობას. საკმარისია ითქვას, მარტო აპრილის პირველ დეკადაში 4 მკვლელობა მოხდა. მართალია, არასრულწლოვანთა დანაშაულის მაჩვენებლები სტაბილური გახდა, ზოგიერთ რაიონში კი გარკვეული შემცირებაც ჩანს, მაინც თვითდამშვიდების საბაბი არ არის და არც შეიძლება იყოს. საიდუმლო როდია, რომ სკოლებში, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში არის დანის ტრიალი, ნარკომანია და სხვა ნეგატიური მოვლენები. არასრულწლოვანთა დამნაშავეობასთან ბრძოლა მილიციის, პროკურატურის, კომკავშირული ორგანიზაციების, საზოგადოებრიობის მუშაობის ყველაზე მნიშვნელოვანი უბანია და ამ მიმართულებით მაჩვენებლების სტაბილურობა დამარცხების ტოლფასია. უნდა მივიღოთ ზომები. აღინიშნა თათბირზე, ავამოქმედოთ ყველა რეზერვი, მოვიშველიოთ გამოცდილება, ცოდნა, ვეძიოთ და ვპოვოთ ეფექტიანი გზები და საშუალებები, რომ გადავწყვიტოთ ეს პრობლემა, გავაჯანსაღოთ ახალგაზრდული სფეროს სულისკვეთება.

შეკრებილებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს დამნაშავეობის გახსნის საკითხს. ყოველი გაუხსნელი დანაშაული არა მარტო აკნინებს მილიციის თანამშრომელთა ავტორიტეტს, ძირს უთხრის მათი კომპეტენტურობის, პროფესიონალიზმის რწმენას, არამედ წამროშობს კიდეც იმის დაუსჯელობას, ვინც იგი ჩაიდინა.

ბოლო დროს განხორციელდა ოპერატიულ-პროფილაქტიკური მუშაობა ანგარიშით დანაშაულობათა, მათ შორის მძიმე დანაშაულობათა, სპეკულაციის, სახელმწიფო ქონების დატაცების, სავალუტო ოპერაციების დარღვევის ფაქტების გამოვლენისათვის და სხვა. მაგრამ ყველა სერიოზულ საქმეს ძირითადად ავლენს შინაგან საქმე-

(დასასრული მე-2 გვ-ზე).

# Разрабатывая научный подход

22 апреля в Доме культуры им. Ф. Э. Дзержинского состоялся научно - практический семинар по проблемам борьбы с преступлениями, совершаемыми на почве наркомании.

Семинар вступительным словом открыл первый заместитель председателя Совета Министров Грузинской ССР, председатель комиссии по борьбе с пьянством, алкоголизмом и наркоманией при Совете Министров Грузинской ССР тов. З. А. Чхеидзе.

С докладом «Организационно - тактические вопросы борьбы с преступлениями, совершаемыми на почве наркомании» выступил начальник отдела по борьбе с распространением наркомании Управления уголовного розыска МВД Грузинской ССР, майор милиции, кандидат юридических наук Д. П. Джанашия.

В работе семинара также приняли участие: первый заместитель министра юстиции ГССР З. Ш. Ратиани; лауреат государственной премии СССР, профессор Московской высшей школы милиции МВД СССР, доктор юридических наук А. Б. Сахаров; заведующий научно - исследовательской лабораторией социологии преступности МВД ГССР А. А. Габиани; начальник кафедры криминологии Московской высшей школы милиции МВД СССР генерал-майор внутренней службы, доктор юридических наук, профессор С. Е. Вицин и другие видные специалисты в области борьбы с наркоманией и преступлениями, совершаемыми на ее почве.

По завершению работы семинара были подведены его итоги.

Материалы научно - практического семинара будут опубликованы в одном из ближайших номеров нашей газеты.

КОМСОМОЛЬСКАЯ ЖИЗНЬ

# УСПЕХ МОЛОДЕЖНОГО КОЛЛЕКТИВА

С целью активизации служебной и общественной деятельности комсомольцев и в соответствии с Положением о комсомольско - молодежном коллективе в органах внутренних дел, в первичной комсомольской организации Очамчирского РОВД с 1983 г. созданы и функционируют 5 комсомольско - молодежных постов. В настоящее время полностью определены организационные основы их деятельности и развернуто социалистическое соревнование между молодежными коллективами с целью обеспечения их авангардной роли в выполнении оперативно-служебных задач.

При подведении итогов социалистического соревнования за 1987 г. победителем среди постов КМК был признан пост, в состав которого входят: командир отделения строевого подразделения Очамчирского РОВД сержант милиции Г. Парпалия, милиционеры строевого подразделения Б. Гамисония и М. Гопия.

В прошлом году КМК данного поста проделана большая и разнообразная работа. Активно участвовали комсомольцы в борьбе с пьянством и самогоноварением: ими было доставлено в дежурную часть Очамчирского РОВД 68 лиц, находившихся в тяжелой и средней степени опьянения, у населения изъято 11 самогонных аппаратов и 260 литров водки домашнего изготовления, задержано 6 водителей, управлявших транспортом в нетрезвом состоянии.

Важное место в деятельности молодежного коллектива в минувшем году занимала работа по выявлению фактов нетрудовых доходов, мелкой спекуляции, а также лиц без определенного места жительства и рода занятий. Комсомольцами пресечена деятельность 7 спекулянтов. сделано 22 официальных предупреждения о прекращении бродяжничества, выявлено 4 человека, не занятых общественно полезным трудом. Регулярно несли члены КМК службу по охране общественного порядка в центре города, на турбазах и в пансионатах, где за время их дежурства не было отмечено правонарушений.

В поле зрения сотрудников поста постоянно находились и собственно молодежные проблемы. Ими при участии представителей Очамчирского РК ЛКСМ Грузии неоднократно проводились рейды по выявлению несовершеннолетних, находящихся в городе без надзора в часы школьных занятий. Кроме того, комсомольцы взяли шефство над трудновоспитуемыми детьми, состоящими на учете в ИДН Очамчирского РОВД.

Самое активное участие принимают члены КМК поста в общественной жизни РОВД: Г. Парпалия является председателем товарищеского суда рядового и младшего начсостава, Б. Гамисония — член политико-массового сектора. Член организационного сектора М. Гопия по итогам 1987 года награжден значком «Отличник милиции».

**Р. ЛАСУРИЯ,**
лейтенант милиции, секретарь первичной комсомольской организации Очамчирского РОВД.



მოწინავე გამოცდილება

# „შანთი" ამხელს

„შანთი", როგორც ეს მისი სახელწოდებიდან ჩანს, ებრძვის ყოველივე მანკიერს, ნეგატიურს ჩვენს ყოფაცხოვრებაში. „შანთმა" უკვე დაიმსახურა ყურადღება, იგი ვრცელდება ქალაქის მოსახლეობაში, წარმოება-დაწესებულებებში, გაკრულია საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. იგი ერთ-ერთ საინტერესო ბეჭდვით ორგანოდ იქცა, რომელსაც ინტერესით მოელის ფართო მკითხველი..." — წერდა ჩვენი გაზეთი გასული წლის ივლისში.

ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს ყოველთვიურ სატირულ-იუმორისტულ ფურცელ „შანთის" რედკოლეგიას თავის გარშემო შემოკრებილი ჰყავს ფართო აქტივი, რომლებიც საინტერესო მასალებს აქვეყნებენ. „შანთის" ერთ-ერთი ნომერი მთლიანად დათმობილი აქვს ლენინის რაიონის შს განყოფილებიდან მოწოდებულ კორესპონდენციებს, რომლებშიც სააშკარაოზე არიან გამოყვანილი წესრიგის დამრღვევნი, თაღლითები, ქურდები, ნარკომანები, მსუბუქი ყოფაქცევის მიმდევარნი და სხვა.

„არავითარი დანდობა ნარკომანებს" — ამ რუბრიკით „შანთი" ამხელს დამნაშავე ნარკომანებს: ჯ. სეფიაშვილს, მ. კუპრაშვილს, დ. ჯინჭარაძეს და ს. ბიკოვს.

„იყო ორი მეზობელი", „კაცია კოტე კაციტაძე?!" და „მოერიდეთ თაღლითს" — ასე ეწოდება „შანთისათვის" დამახასიათებელი სატირულ-იუმორისტული სტილის კორესპონდენციებს, რომლებშიც სააშკარაოზე არიან გამოყვანილი ქუთაისელი უსაქმურები, ავტომანქანის გამტაცებლები: რ. ჯახელიძე და ნ. კაკუშაძე, არყის უკანონოდ გამომხდელი კ. კაციტაძე, სამტრედიელი თაღლითი ლ. დვალიშვილი.

განყოფილების უფროსის მოადგილე, მილიციის მაიორი ნ. ღამბაშიძე მკითხველს აცნობს, რომ ოპერატიულმა მუშაკებმა დააკავეს ძებნილი დამნაშავენი, ე. წ. „კანონიერი ქურდები" ვ. იობიძე და მ. შალიკიანი.

მსუბუქი ყოფაქცევის „მანდილოსნების" მამხილებელი წერილი „პროსტიტუცია — საზოგადოების მკაცრ სამსჯავროზე" — კვლავ მკაცრად სვამს პროსტიტუციასთან ბრძოლის საკითხს. ჩვენს საზოგადოებაში მათი მსგავსნი არ უნდა ბოგინობდნენ, ამაში საზოგადოება უნდა დაგვეხმაროს — ამბობს ავტორი. ფურცელში აგრეთვე დაბეჭდილია სხვა მამხილებელი ფაქტებიც.

შემთხვევითი არაა ის, რომ ლენინის რაიონის შს განყოფილების მიერ მომზადებული გვერდი ასეთი მრავალფეროვანია. განყოფილების თანამშრომლები საგანგებოდ იკრიბებიან ლენინის ოთახში, განიხილავენ მასალებს. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ არასრულწლოვანებთან მუშაობას, ნარკომანიის, პროსტიტუციის, ლოთობის და სხვა დანაშაულობების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს.

იმედი გვაქვს მათი საქმიანობა კიდევ უფრო დაიხვეწება. მიზანმიმართული, მონდომებული მუშაობით მეტის გაკეთებაც შეიძლება.

**ვ. ნადირაძე.**

* * *

**სურათზე:** ქუთაისის ლენინის რაიონის შს განყოფილების თანამშრომლები გამოსაქვეყნებელი მასალების განხილვის დროს.

გ. მგალობლიშვილის ფოტო.



# ОЦЕНКА— «ОТЛИЧНО»

Руководствуясь ленинским принципом мирного сосуществования государств, ЦК КПСС и Советское правительство настойчиво и последовательно проводят политику, направленную на предотвращение новой войны. Гарантией против развертывания новой войны является дальнейшее повышение экономической и оборонной мощи Советского государства.

В МВД Аджарской АССР в целях защиты населения и народного хозяйства от ракетного, химического и бактериологического оружия, а также для проведения СНАВР оборонные мероприятия осуществляются заблаговременно, согласно ранее разработанным планам.

Реальность планов подтвердилась в ходе проводимых учебно - методических сборов ГО по защите личного состава, семей сотрудников ОВД, населения Аджарии, действия всех ГОРОВД республики, служб и подразделений, оповещения, сбора и эвакуации членов семей сотрудников.

Личным составом милиции при проведении учебно - методических сборов практически отрабатывались вопросы по оказанию доврачебной помощи пострадавшим, проведению спасательных и неотложных аварийно - восстановительных работ, охране общественного порядка и т. д.

Во время учения, проводимого на высоком уровне, решались вопросы организационного характера. Общая оценка, поставленная Министерству, — «ОТЛИЧНО».

**М. МИКЕЛАДЗЕ,**
лейтенант милиции, инспектор политотдела МВД Аджарской АССР.



# იცნობდეთ. მოწინავე მუშაკია

**მილიციის** კაპიტანი მურად ლევანის ძე ერისთავი 1969 წლიდან მუშაობს შს ორგანოებში. ამჟამად იგი არის გორის შს საქალაქო განყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების ოპერრწმუნებული და მუშაობს ძებნის ხაზით. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას ეკიდება მაღალი პასუხისმგებლობით. მისი ყოველდღიური მუშაობის მიზანია ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების უფრო მეტად სრულყოფა.

1987 წლის განმავლობაში მ. ერისთავი რამდენჯერმე წახალისებულა.

სკკპ წევრი მ. ერისთავი აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ საქმიანობაში, ამჟამად არჩეულია განყოფილების პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის მოადგილედ.

# უპირველეს ყოვლისა პროფილაქტიკა

(დასასრული).

თა სამმართველოს სოცსაკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი ცენტრალური აპარატი. არასაკმარისი აქტიურობით იხსნება საკასო დისციპლინის წესების დარღვევა, რაც ხშირად პირდაპირ უკავშირდება „მარცხენა" პროდუქციის შემოტანას, უფაქტურო სავაჭრო ოპერაციებს.

დედაქალაქში ბევრი რამ კეთდება ქუჩებში, მოედნებზე, პროსპექტებზე ოპერატიული ვითარების გაუმჯობესებისათვის. მაგრამ ეს მუშაობა არაა საკმარისი, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქალაქში კვლავ მნიშვნელოვანია საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა რიცხვი, განსაკუთრებით ღამის საათებსა და დასვენების დღეებში. ამასთან მათი 11 პროცენტი გაუხსნელია. გრძელდება აგრეთვე ტრანსპორტის მართვა სიმთვრალეში. რა გამოდის? ყოველწლიურად სხვადასხვა დარღვევისთვის ისჯება 280 ათასი მძღოლი. თუ ამ რიცხვს არსებულ სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობაზე გავყოფთ გამოდის რომ საშუალოდ თითოეული მძღოლი წელიწადში ორჯერ ისჯება. მაგრამ რა სიკეთე მოაქვს ამას, თუკი ტრასებზე მდგომარეობა არ უმჯობესდება. მაშასადამე აშკარაა სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაობის ნაკლოვანებები, რომლის თანამშრომლები ხშირად გვევლინებიან საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის ფაქტების აღმნუსხველთა როლში და არა ქუჩის კანონების აქტიურ და მხურვალე პროპაგანდისტებად, უნარიანად რომ სარგებლობენ აგიტაციისა და პროფილაქტიკის ყველა საშუალებით ტრასებზე წესრიგის უზრუნველყოფისათვის.

თათბირზე განიხილეს შინაგან საქმეთა ორგანოების გამოძიებასა და მოკვლევაზე, აგრეთვე სასამართლოებში სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეების განხილვაზე საპროკურორო ზედამხედველობის საკითხი. აღინიშნა, რომ პროკურორები ყოველთვის როდი იყენებენ თავიანთ კანონიერ უფლებამოსილებას სადავო, პრინციპული საკითხების გადაწყვეტისას. პროკურატურის (ორგანოებმა აქტიურად უნდა განახორციელონ სამართალდამცავი ორგანოების კოორდინაცია ნარკომანიასთან, ალკოჰოლიზმთან, მუქთახორობასთან, ყოველგვარი სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

კვლავ მწვავედ დგას კადრების საკითხი. თუმცა უკანასკნელ წლებში სამართალდამცავი ორგანოების რიგები განმტკიცდა კომპეტენტური სპეციალისტებით, საჩინოა სამსახურების „გაახალგაზრდავება", ამის მიუხედავად გარდაქმნის პროცესი ყველა ქვედანაყოფს როდი შეეხო, იგი არ გამხდარა მილიციის, სასამართლოს, პროკურატურის თითოეული მუშაკის სისხლხორცეული საქმე. ამ სამსახურებში ჯერ კიდევ არიან ისეთები, რომლებიც ძველებურად აზროვნებენ, დამნაშავეობასთან ბრძოლის ცხოვრების მიერ უარყოფილი ფორმებისა და მეთოდების ტყვეობაში იმყოფებიან. ამით ზარალდება საერთო საქმე, დედაქალაქში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისა და სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფისათვის მთელი მუშაობის ხარისხი.

# კვლავ განსასჯელის სკამზე

**ვალერი** ეფიმის ძე ეფიმენკო, 1964 წელს დაბადებული, მცხოვრები თბილისში, ორთაჭალის II ჩიხის № 10 სახლში ჯან-ღონით აღსავსე ახალგაზრდაა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გაემგზავრა კიევში სასწავლებლად, მოეწყო უმაღლეს სასწავლებელში, მაგრამ სწავლას გული ვერ დაუდო და ცხოვრების სულ სხვა გზა აირჩია. მისი არჩევანი მცდარი გამოდგა — ვალერი ქურდობისთვის დააპატიმრეს და ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. გასული წლის დეკემბრის დამლევს ციხიდან გამოსული ეს ახალგაზრდა კაცი თბილისში დაბრუნდა.

26 კომისრების შს განყოფილების მუშაკებმა გზიდან აცდენილ კაცს ყოველგვარი დახმარება გაუწიეს, რომ ნორმალურ ცხოვრებას დაბრუნებოდა მაგრამ...

ა. წ. 16 აპრილს ღამის ოთხ საათზე ხმელნიცკის ქუჩის № 147 სახლის წინ მან ეზოში გაჩერებული მანქანის მოპარვა გადაწყვიტა. ის იყო მანქანა უნდა დაექოქა და წაეყვანა, რომ გამტაცებელს თავზე დაადგა 26 კომისრების შს განყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების თანამშრომელი, მილიციის ლეიტენანტი, გარი ზახარიანი. ბოროტმოქმედმა თავის დასაღწევად წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ სულ რამდენიმე წამში ხელგაკავებული აღმოჩნდა და მილიციის განყოფილებაში ამოყო თავი. ვ. ეფიმენკოს პატარა სპორტული ჩანთაც აღმოაჩნდა, სადაც ელაგა სხვადასხვაგვარი ხელსაწყოები და გასაღებები მანქანის გასაქურდად. როგორც გაირკვა სულ რამდენიმე საათში ბოროტმოქმედს მოეპარა ქალაქის სხვადასხვა რაიონებიდან 2 მანქანა „ჟიგული“, გაეძარცვა ისინი, ამოეღო მაგნიტაფონები, კასეტები და სხვა ნივთები.

მოკლე ხანში გამოუსწორებელი ქურდი ისევ მართლმსაჯულების წინაშე წარსდგება.

**გ. ბურამიშვილი.**

* * *



**სურათზე:** ვ. ეფიმენკო დაკითხვის დროს გ. ზახარიანთან.

გ. მგალობლიშვილის ფოტო

# მადლობის ბარათები

**ხუთი** წლის წინად, ტრაგიკულად დამეღუპა მეუღლე, იამანიძე ალიმი, რომელიც წლების მანძილზე მუშაობდა შინაგან საქმეთა ორგანოებში, ხოლო უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ლანჩხუთის რაიონული განყოფილების უბნის ინსპექტორი იყო. ჰქონდა კაპიტნის წოდება. უდავო ფაქტია, თუ რა მძიმეა ოჯახისათვის ახლობლის დაკარგვით გამოწვეული სევდა და მწუხარება, მითუმეტეს ახალგაზრდულ ასაკში, ამ დროს ჭირისუფალს სანუგეშებლად სხვა არაფერი დარჩენია, თუ არა ვინმესგან თანადგომა და იმედიანი სიტყვა. ასეთ თანაგრძნობასა და თბილ დამოკიდებულებას არ იშურებენ ჩემი ოჯახისათვის ლანჩხუთის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების თანამშრომლები. ისინი ყოველ წელიწადს, ხსოვნის დღეს, მოდიან ჩვენს ოჯახში, ყვავილებით ამკობენ მეუღლის საფლავს, მეხმარებიან მატერიალურადაც.

არ მყოფნის სიტყვები ამ მადლიერების გამოსახატავად, ამიტომ მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო ლანჩხუთის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მთელ კოლექტივს, ჩემი დამწუხრებული ოჯახისადმი ამ დიდი ყურადღებისათვის.

**ნ. იამანიძე,**
**თერჯოლის რაიონის, ძევრის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგი.**

ПОЗИЦИЯ

# КТО ПОМОЖЕТ УЧАСТКОВОМУ?

Среди многочисленных обязанностей участковых инспекторов на сегодняшний день главной остается профилактика правонарушений. Ведь для того, чтобы на участке было спокойно, важно предотвратить их, сделать все возможное, чтобы они не возникали. И вот тут участковому необходимо знать, где и в чем, так сказать, таятся «горячие точки».

Широк круг обязанностей участкового. Однако он ни на минуту не должен забывать, что главное — это люди, покой и права которых он должен оберегать, воспитывать их в духе социалистической законности, предостерегать от опрометчивых шагов.

Один из конкретных видов такой помощи — трудоустройство. В прошлом году участковыми инспекторами было направлено на работу свыше трех тысяч человек.

Среди них были и неплохие специалисты, которым важно было сделать первый шаг, чтобы обрести свое место в жизни. В таких случаях поворот в биографии человека нередко зависит от психологического мастерства участковых инспекторов, их подлинной заинтересованности в судьбе подопечных. Могу привести в пример своих коллег — старших участковых инспекторов З. Намгаладзе и Г. Гагуа. З. Намгаладзе, кавалер ордена Красной Звезды, работает в Первомайском РОВД. Опыт его работы был обобщен на коллегии Министерства внутренних дел республики — не это ли высокое признание заслуг работника? А майор милиции, старший участковый инспектор Кировского РОВД Г. Гагуа был назван лучшим участковым по итогам 1987 года.

Таких добросовестных людей у нас немало. Но, увы, надо признать, есть еще и такие, кто спустя рукава относится к выполнению своих непосредственных служебных обязанностей.

Вспомним один факт. В доме № 28 по 2-й Долабаурской улице, принадлежащем А. Казарову, произошло убийство. К квартиранту, рабочему управления «Теплострой» Ш. Какилашвили зашел приятель — рабочий специализированного монтажного управления Н. Веетваль. Встречу решили отметить. Какилашвили попросил соседку раздобыть спиртного. Та по сходной цене приобрела четыре бутылки «чачи» у другой соседки — И. Мезвришвили. Распили водку быстро, а потом неожиданно возникла ссора. Какилашвили ударил ножом Вествадя в область сердца.

Возможно, участковый инспектор Н. Гегучадзе не мог предвидеть застолья в квартире Ш. Какилашвили, но он обязан был знать, что у И. Мезвришвили бывает в продаже спиртное.

Вот мы и подошли к главной теме — можно ли говорить о том, что все участковые инспекторы хорошо, добросовестно несут свою службу? Увы, далеко не всегда. Даже один факт нарушения социалистической законности участковым инспектором бросает тень на весь многочисленный отряд участковых. А в прошлом году было выявлено пять таких фактов. Имели место и нарушения служебной дисциплины. 67 человек были наказаны в дисциплинарном порядке.

И хотя это значительно меньше, чем в предыдущие годы, тем не менее очевидно — еще не все участковые инспекторы с должной ответственностью несут свою службу.

Серьезной проблемой в работе органов внутренних дел по-прежнему остается борьба с рецидивной преступностью. Здесь главной мерой мы считаем гласный административный надзор, дающий возможность держать в сфере профилактического воздействия лиц, ранее судимых за различные правонарушения. Ни для кого не секрет, что эта категория людей наиболее склонна к антиобщественным действиям, а, следовательно, нуждается в пристальном внимании со стороны участковых инспекторов. Для участкового важно не упустить из виду ни возможных участников, ни саму ситуацию, которая может завершиться преступлением. За последнее время число рецидивных преступлений заметно снизилось, но, тем не менее, завершенной работу ни в коем случае считать нельзя.

Будем ли мы последовательны до конца, если не спросим участкового инспектора об условиях его работы? Только 181 участковый инспектор на сегодня обеспечен помещением, у 162 нет служебных телефонов. Правда, мы раздали населению визитки с адресом, где ведет прием участковый инспектор. На многих указаны номера телефонов районного отдела внутренних дел. Так о какой оперативной помощи со стороны участкового можно вести речь, если он лишен элементарной возможности связаться с населением, принять меры по «горячим следам»?

Участковые инспекторы милиции должны работать в тесном контакте с общественными пунктами охраны порядка, советами профилактики на предприятиях, в учреждениях. Но активность этих общественных формирований сегодня еще невелика.

Об участковых говорят, что они полномочные представители власти на местах. Справедливое утверждение! Плохо только, что они, наделенные властью, зачастую обделены элементарными условиями не только работы, но и быта.

Вот об этом нам и следует подумать.

**М. ГУДУШАУРИ,**
**полковник милиции, начальник отдела охраны общественного порядка УВД г. Тбилиси.**



# საქმის ერთგული

**...ბვიანი** საღამო იყო, როცა ქობულეთის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებაში ტელეფონის ზარი აწკრიალდა. ვიღაცის აღელვებული ხმა იტყობინებოდა, რომ ქალაქის ცენტრში ხულიგნები ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ მოხუც ქალს. მოკლე ხანში მილიციის მუშაკები შემთხვევის ადგილზე იყვნენ, მაგრამ სამხედრო ფორმაში გამოწყობილ ახალგაზრდას უკვე დაეკავებინა ხულიგნები. ჯგუფის ხელმძღვანელმა ხ. გოგიტიძემ დამშვიდობებისას უცნობ ჭაბუკს უთხრა: — მადლობელი ვართ დახმარებისათვის, ისე კი იცოდე, რომ შენისთანა ბიჭები ჩვენს რიგებს დაამშვენებდა. რაც მთავარია პირველი გამოცდა „5“-ზე ჩააბარე.

ადამიანმა რომელმაც თავის თავზე გამოცადა ომის საშინელებანი და სიკვდილისთვისაც თვალებში არაერთხელ ჩაუხედავს, არ შეიძლება სხვანაირად მოქცეულიყო. ალბათ ვერც ალან ნაკაშიძე გაიხსენებს რამდენ ტყვიას და ჭურვს გაუვლია გვერდით, რამდენი დინამიტი აფეთქებულა მისი მანქანის სიახლოვეს, რამდენი მეომარი და ადგილობრივი მცხოვრებია იმ მეომრებთან ერთად ვინც ინტერნაციონალურ ვალს იხდიდა ავღანეთის მიწაზე. ალბათ ამიტომ იყო რომ ჯარისკაცის მშობლები ბარათებს იღებდნენ ავღანეთიდან, სადაც ნაწილის უფროსი დიდ მადლობას უხდიდა მის მშობლებს ასეთი ვაჟკაცის გაზრდისათვის. ერთ-ერთ წერილში ისიც იყო ნათქვამი, თუ როგორ გამოიყვანა ცეცხლის ხაზიდან მისი მძიმედ დაჭრილი მეთაური.

დემობილიზაციის შემდეგ ა. ნაკაშიძემ მიაკითხა მის ძველ ნაცნობს, მილიციის უფროსის მოადგილეს პოლიტნაწილში ხ. გოგიტიძეს და გადასცა კომკავშირის საგზური, სადაც მას რეკომენდაციას უწევდნენ მილიციაში სამუშაოდ. 5 წლის მანძილზე მან მრავალ ოპერაციაში მიიღო მონაწილეობა... ერთხელ ასლანი სხვა თანამშრომლებთან ერთად შეტყობინებაზე გავიდა. შეიარაღებული ბოროტმოქმედნი რესტორან „კურზალში“ მოკალათებულიყვნენ და შენობაში არავის უშვებდნენ. დაფიქრების დრო აღარ იყო, ჯგუფს გამოეყო ა. ნაკაშიძე და რესტორანში შევარდა. სულ რამდენიმე წამში მას მილიციის სხვა მუშაკებიც მიჰყვნენ. შესვლისას ისინი ასეთი სურათის მოწმენი გახდნენ — იარაღიანი ბოროტმოქმედი იატაკზე იწვა, დაჭრილმა ასლანმა მაინც მოახერხა მისი შეპყრობა.

ქობულეთის შს რაიონული განყოფილების საპატრულო-საგუშაგო სამსახურის თანამშრომელი, მილიციის ზემდეგი, კომუნისტი ა. ნაკაშიძე თავისი საქმისადმი დიდი ერთგულებით გამოირჩევა. დღისით და ღამით პირნათლად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

**ზ. მგალობლიშვილი.**

**სურათზე:** მილიციის ზემდეგი ა. ნაკაშიძე.

ავტორის ფოტო.

# ПОСЛЕ КРИТИКИ

В одном из мартовских номеров нашей газеты сообщалось о выявленных фактах нарушения формы одежды некоторыми сотрудниками органов внутренних дел. Недавно редакцией получено письмо начальника Кировского РОВД г. Тбилиси полковника милиции З. Мачаидзе, который сообщает, что вопрос о нарушении формы одежды дознавателем Кировского РОВД старшим лейтенантом милиции А. Кобахидзе был рассмотрен на оперативном совещании личного состава РОВД. Принято решение строго предупредить тов. Кобахидзе. Одновременно предупрежден весь личный состав о недопустимости аналогичных нарушений.

## ТОЛЬКО ФАКТЫ

— В период проведения оперативно - профилактических мероприятий, проводимых в Месхет - Джавахетской, Карталинской, Кахетинской зонах с 18 по 22 апреля выявлено: мелких хулиганов — 16, мелких хищений — 14, незаконных строительств — 5, нетрудовых доходов — 14, нарушений паспортного режима — 135, временно неработающих — 65, тунеядцев — 5; доставлено: пьяных граждан — 40, в мед. вытрезвитель — 17, приемник - распределитель — 26, вен. диспансер — 8; изъято: водки домашнего производства — 300 л., самогонных аппаратов — 52, охотничьих ружей — 64; проверено: лиц, находящихся под адм. надзором, ранее осужденных — 70, оштрафовано: по линии ГАИ — 146, из них пьяных водителей — 30.

— В период с 19 по 26 апреля, на территории г. Тбилиси сотрудниками ИДН ОУР УВД г. Тбилиси совместно с представителями общественности, с целью предотвращения правонарушений со стороны несовершеннолетних и студенческой молодежи, были проведены оперативно-профилактические мероприятия, в результате которых: доставлено в ИНД несовершеннолетних — 64, проверено находящихся на учете ИНД — 76, выявлено неработающих и неучащихся — 4, сдано в приемник-распределитель — 3, изъято 4 ножа.

სპორტსაზოგადოება „დინამო“ 65 წლისაა

# „დინამო“ — ძალა მოძრაობაში







საბჭოთა და ქართული სპორტის არა ერთ სახელოვან წარმომადგენელს შეხვდებოდით იმ საღამოს 26 აპრილს, თბილისის „დინამოს“ სტადიონის სპორტკლუბში. ამ დღეს აქ თავი მოეყარათ იმათ, ვინც წლების მანძილზე ღირსეულად ატარებდა „დინამოელის“ სპორტულ სახელს. — დიახ, „დინამოელები“ საზოგადოების ჩამოყალიბების 65 წლისთავს ზეიმობდნენ.

ხალამოზე ჩვენ სახელოვან სპორტსმენებთან ერთად მიწვეულნი იყვნენ საქართველოს შს სამინისტროსა და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელი მუშაკები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

საზეიმო სხდომა გახსნა და საიუბილეო თარიღი დამსწრეთ მიულოცა საქართველოს რესპუბლიკის „დინამოს“ საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, მილიციის გენერალ-მაიორმა ჯ. მიქელაძემ.

— საბჭოთა და ქართული სპორტის ისტორიაში ოქროს ასოებით შევიდა დინამოელი სპორტსმენების, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონების: ა. მეკოკიშვილის, მ. ჯუღელის, რ. ჩიმიშკიანის, რ. შავლაყაძის, ვ. სანეევის, ნ. ასათიანის, მ. ქორქიას და ზ. საკანდელიძის სახელები, — თქვა მან. სანეევმა კი ნამდვილი სპორტული გმირობა გამოიჩინა, ოლიმპიადების სამი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვა. საქართველოს დინამოელთა მონაგარში, აგრეთვე, 10 ვერცხლის და 13 ბრინჯაოს ოლიმპიური მედალი შედის.

საბჭოთა ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე უძველესი, მუდმივი ბინადარი გახლავთ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი, რომელმაც 1981 წელს ევროპის ქვეყნების თასიც მოიპოვა.

ასევე ავტორიტეტულია ვაჟ კალათბურთელთა გუნდიც. 1962 წელს ევროპის ჩემპიონთა თასი რომ ჩამოიტანა თბილისში, „დინამოს“ პრიორიტეტი აქვს აგრეთვე წყალბურთში, თანამედროვე ხუთჭიდში, ველოსპორტში.

სპორტის ისტორიაში ლეგენდად დარჩება მძლეოსნების: ნ. დუმბაძის, ე. გოკიელის, ნ. დვალიშვილის, წყალბურთელების: პ. მშვენიერაძის, ნ. გვახარიას, გ. ჩიქოვანის, ვ. ისელიძის, ჩოგბურთელების: ა. მეტრეველის, კალათბურთელების: ო. ქორქიას, ნ. ჯორჯიკიას, ვ. ჟღენტის, გ. მინაშვილის, ლ. ინწკირველის, ველოსიპედისტ ო. ფხაკაძის, მოჭიდავეების: შ. ლომიძის, ა. კიკნაძის, შ. ჩიხლაძის, მ. სალაძის, ტანმოვარჯიშეების: გ. შარაბიძის, რ. სიხარულიძის, ტყვიის მსროლელის შ. ქველიაშვილის, მოცურავის თ. ლეკვეიშვილის, ჩვენი სახელგანთქმული ფეხბურთელების და სხვათა წარმატებები.

საქართველოს დინამოელთა მიღწევებზე მეტყველებს ისიც, რომ 19 მსოფლიოს და 75 ევროპის ჩემპიონი, 79 სპორტის დამსახურებული ოსტატი და 20 სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გვყავს.

ქვეყნის ნაკრებ გუნდში, რომელიც ემზადება სეულის ოლიმპიადისათვის ქართველი დინამოელებიც არიან.

ფიზკულტურასა და სპორტს ჩვენს რესპუბლიკაში დიდი გასაქანი უნდა მიეცეს და ამ თაოსნობაში, ეროვნულ საქმეში პირველი სიტყვა „დინამოს“ საზოგადოებამ, მისმა სპორტსმენებმა და თუ მწვრთნელებმა უნდა თქვან.

ყველას ვალია დაისახოს გარკვეული პროგრამა ამ კეთილშობილური საქმის წარმართვისათვის და თავის წვლილი შეიტანოს საქართველოს სპორტის აყვავების საქმეში.

გარდაქმნა და დღევანდელი მოთხოვნები თითქმის ყველა უწყებას შეეხო, რასაც ვერ ვიტყვით სპორტის განვითარებაზე. აქედან გამომდინარე ყველამ სათანადო დასკვნები უნდა გააკეთოს და მიიღოს გადამჭრელი ზომები. პირველ რიგში ეს ეხება საზოგადოება „დინამოს“ ცენტრალურ აპარატს და დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს. იქ სადაც კონტროლი და მომთხოვნელობაა, სადაც საქმეში თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობა კონკრეტულადაა განსაზღვრული, სადაც საშემსრულებლო დისციპლინაა არ შეიძლება საბოლოო შედეგები სასურველი არ იყოს.

გულახდილად რომ ვთქვათ, ზოგიერთი მუშაკი შეეჩვია ინერტულობას, არც აპარატში იგრძნობა ახლის ძიებისკენ სწრაფვა, ალარაფერს ვამბობ მწვრთნელებისა და სპორტული სკოლების ულიმღამო, მოდუნებულ მუშაობაზე. ამიტომ, ის ვინც არ შეიცვლის საქმისადმი დამოკიდებულებას, წარსულში რა დამსახურებაც არ უნდა ჰქონდეს, მაინც პასუხს აგებს შექმნილ მდგომარეობაზე.

პრობლემები მართლაც ბევრია, უახლოეს ხანებში კი ის გადაწყდება, რისი გადაწყვეტაც შედარებით ადვილია, მაგალითად მოსახლეობის ფასიანი მომსახურეობის გაზრდა, სპორტული ბაზების მაქსიმალური დატვირთვა, ფიზკულტურულ კოლექტივებში პასუხისმგებლობის ამაღლება, სპორტული საქონლის წარმოების ასორტიმენტის და ხარისხის გაუმჯობესება, სამხედრო-გამოყენებითი და სამხედრო-ტექნიკური სახეობების მასობრივი დანერგვა. პერსპექტივაში გვაქვს სპორტულ ნაგებობეთა ქსელის გაფართოება, კადრების მომზადება-გადამზადების სისტემის დახვეწა.

საზოგადოება „დინამო“ მოწოდებულია დიდი წვლილი შეიტანოს ქართულ და საბჭოთა სპორტის წინსვლის საქმეში, ამ პრინციპის ერთგული მუდამ დავრჩებით.

**საიუბილეო სხდომამ გულთბილ და საინტერესო ვითარებაში ჩაიარა — განვლილ სპორტულ გზაზე, დაუვიწყარ დღეებზე ისაუბრეს ჩვენმა სახელოვანმა სპორტსმენებმა. სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ: ე. გოკიელი, გ. გაგუა, ვ. სანეევი და სხვანი. ნაჩვენები, იყო ფილმი. დასასრულს გაიმართა კონცერტი.**

**საღამო მართლაც თბილი და დაუვიწყარი იყო და ეს ასეც უნდა ყოფილიყო — ამ დღეს ხომ იქ ქართული სპორტის არაერთ ვარსკვლავს მოეყარა თავი.**

**ზ. გომართელი.**



კალეიდოსკოპი

## კვლავ შიდსის შესახებ

მოსკოვში, შიდსის კვლევით ინსტიტუტში, შეიქმნა გამოთვლითი ცენტრი, რომელიც თავს უყრის ქვეყნის ლაბორატორიების მთელ ინფორმაციას ამ საშინელი დაავადების დიაგნოსტიკის თაობაზე. სამუშაოთა ხელმძღვანელის ვადიმ პოკროვსკის თქმით, საბჭოთა კავშირში აღრიცხულია შიდსის ვირუსის მატარებელი 42 საბჭოთა და სამასამდე უცხოელი მოქალაქე. შიდსით დაავადებულია მხოლოდ ოთხი კაცი: ერთი საბჭოთა და სამი უცხოელი მოქალაქე. ავადმყოფობა ყველა შემთხვევაში უცხოეთიდან არის შემოტანილი. პოკროვსკიმ აღნიშნა, რომ შიდსის ვირუსი, არ გადაეცემა არც ჰაერით, არც ნივთებით, არც ხელის ჩამორთმევით. ვინც წესიერ და ზომიერ ცხოვრებას ეწევა, პოკროვსკის თქმით, არვითარ შემთხვევაში არ დაავადდება „მეოცე საუკუნის ჭირით“.

# ШАХМАТНЫЙ КЛУБ «ЛАДЬЯ»

ВЫПУСК № 7.

Феноменальных достижений добился Г. Каспаров в 1981 году, показав отличный результат в Московском турнире гроссмейстеров и поделив первое место в чемпионате СССР.

Никто, никогда не играл в чемпионатах СССР в столь юном возрасте, и никто не побеждал в первенстве страны в восемнадцать лет. По поводу этого успеха Гарри Каспарова экспансивный Михаил Таль изрек: «Этот парень похож на реактивный шахматный самолет».

В начале 1982 года Каспаров убедительно выигрывает супертурнир гроссмейстеров в Югославии. Решением ФИДЕ он был допущен к участию в межзональных соревнованиях очередного цикла розыгрыша первенства мира.

На межзональном турнире в Москве (1982) он берет чистое первое место. Затем одерживает победы в матчах претендентов: четвертьфинальный поединок с Белявским—6:3, полуфинальный с Корчным—7:4, финальный матч со Смысловым — 8,5:4,5.

Итак, матчи претендентов позади. Повержены три могучих соперника. Но впереди самое трудное испытание — безлимитный матч с Анатолием Карповым — опытнейшим матчевым бойцом. Матч начался 9 сентября 1984 года в г. Москве. 15 февраля 1985 года, после более 5 месяцев борьбы, при счете 5:3 в пользу Карпова, президент ФИДЕ принял решение прекратить матч без выявления победителя.

Второй матч между Карповым и Каспаровым начался 2 сентября 1985 г. в городе Москве. Он проходил в упорной борьбе и привлек огромное внимание общественности во всех странах, на всех континентах.

Одержав со счетом 13:11 победу над А. Карповым, Гарри Кимович Каспаров стал тринадцатым чемпионом мира.

«Междуматчевая деятельность» — так назвал один из шахматных специалистов те месяцы конца 1985 года и первой половины 1986 года, которые провел Каспаров в ожидании нового поединка, теперь уже матч - реванша с А. Карповым. Гарри Каспаров, отказавшись от выступлений в турнирах, выбрал матчевую форму подготовки к предстоящему матчу-реваншу. Партнерами он выбрал сильнейших зарубежных гроссмейстеров—Яна Тиммана и Энтони Майлса. Оба матча Г. Каспаров убедительно выиграл, одержав как спортивную, так и творческую победы. Итоги матча с Я. Тимманом (4:2) и Э. Майлсом (5,5:0,5) показали, что Г. Каспаров, как ни наивно это звучит применительно к чемпиону мира, еще прибавил в игре.

Матч - реванш Каспаров — Карпов начался 28 июля 1986 года. Первая половина матча проходила в Лондоне, а вторая половина в Ленинграде. 10 октября 1986 года матч закончился. Со счетом 12,5:11,5 победил Каспаров, сохранив звание чемпиона мира.

Очередной четвертый раунд между Каспаровым и Карповым начался в городе Севилья 12 октября и закончился 19 декабря 1987 года. Матч за мировое первенство закончился вничью. Анатолий Карпов не смог удержать перевес в счете после 23-й партии, и Гарри Каспаров, в последнем поединке вырвав победу, сохранил еще на три года высший титул.

Подготовил **М. Миминошвили.**

Окончание. Начало в № 15.

განცხადება ОБЪЯВЛЕНИЕ

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული ლიტერატურული გაერთიანება გამოსაცემად ამზადებს ალმანახს — „ბოროტსა სძლია კეთილმან“ — მეხამე წიგნს. ალმანახში შევა მილიციის მუშაკთა მიერ თავისუფალ და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის თემაზე შექმნილი მხატვრული ნაწარმოებები, ლექსები, მოთხრობები, ნარკვევები და სხვ.

გთხოვთ მოგვაწოდოთ მასალები ამა წლის პირველ ოქტომბრამდე, მისამართით: თბილისი, ბესიკის ქ. № 4 ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლის ბიბლიოთეკა.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ტელ. 99:1:40:91

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ლიტერატურული გაერთიანება.

К сведению ветеранов войны, труда и органов внутренних дел МВД Грузинской ССР!

6 мая 1988 г. в честь ДНЯ ПОБЕДЫ над фашизмом в Доме культуры им. Ф. Э. Дзержинского силами ведущих мастеров искусств республики для Вас и членов вашей семьи состоится вечер юмора и песни.

Вход свободный. Начало в 17 часов.

ПАРТИЙНЫЙ КОМИТЕТ МВД ГССР.
РУКОВОДСТВО Д/К ИМ. Ф. Э. ДЗЕРЖИНСКОГО.

## ЭТО ИНТЕРЕСНО

### МУЗЕЙ ШЕРЛОКА ХОЛМСА

В швейцарской общине Майринген готовится к открытию необычный музей. Он разместится в построенной около ста лет назад церкви и будет представлять последнее пристанище Шерлока Холмса. Организаторы музея располагают уже «подлинными» реликвиями: книгами, табакерками, курительными трубками и портретами великого сыщика. Двум британским архитекторам поручено создать жилую комнату детектива в полуподвальном этаже церкви, а один скульптор работает над статуей, изображающей Холмса при разгадывании очередных козней преступников.

Музей Холмса в живописной церквушке должен привлечь в эту местность еще больше туристов. Согласно духовному отцу сыщика, Артуру Конан Дойлю, Холмс погибает в одном из ущелий Майрингена. Правда, потом, по просьбе читателей, автор воскресил покойника для новых историй.

ჩვენი მისამართია: თბილისი, 380084 გოგოლის ქ. № 23 ტელეფონები:
НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064. УЛ. ГОГОЛЯ, 23 ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.

რედაქტორი ა. კოჩალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. უე 00235